

## ნიკოლოზ ოთინაშვილი

### ლიახვის ხეობის წარმომადასტური და მოწოდების თავისებურებანი

ენა არის ცვალებადი კატეგორია. ათას ხუთასზე მეტი წნის მანძილზე პოლიტიკურ, ისტორიულ ქარტეხილებსა და სხვა ენების გავლენის შედეგად, ცხადია, შეიცვლებოდა ქართული ენაც.

მიუხედავად ამისა, ქართული დიდი კონსერვატიულობით გამოიჩინა, მაგრამ ნაირგვარობა თითქმის ყველა ეპოქაში გვხვდება.

ძველ ქართული ენის რღვევა საქართველოს გაერთიანების ხანიდან იწყება; ორივე: ძველიც და ახალიც სრულყოფილად არის წარმოდგენილი “ვეფხისტყაოსანში”; ამ ეპოქის სალიტერატურო ენის ძირითადი ნიშანი არის ხალხურობა. ხალხური მეტყველების მიზეზით უნდა აიხსნას ცვლილებები ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, ლექსიკასა და, საერთოდ, გრამატიკაში.

მიუხედავად ამისა, ძველი ქართულის ტრადიციები ყოველთვის ძლიერი იყო, რაც ძირითადად, განპირობებული იყო დიალექტური ელემენტების შემოჭრით სალიტერატურო ენაში და, მეორე მხრივ, საუკლესიო ლიტერატურის ძეგლებით, რომლებიც ყოველთვის ძველ პოზიციებს ამაგრებდნენ.

შემდგომი ეპოქებია ახალ საყრდენ დიალექტზე დაფუძნება, ეს დიალექტები კი ქართლური და კახური იყო, რომელთა ნაირგვარი ფორმები გვხვდება მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა შეატერულ ლიტერატურაში, წარწერებში, ხელნაწერებში, საისტორიო დოკუმენტებში.

მეჩვიდმეტე-მეთერამეტე საუკუნეებში ახალი ქართული სალიტერატურო ენა გამოვეთილია, მან თავისთვალი სახე მიიღო. სულხან-საბამ, დ. გურამიშვილმა, ვახტანგ მეექვსემ თავიანთ შემოქმედებაში გზა გაუკავეს ახალი სალიტერატურო ენის აღრინდელ პერიოდს, რომლებიც ნათლად ჩანს მათ ნააზრევში, ეს კი სალიტერატურო ენის ისტორიისათვის დიდი ნიშანს ვეტია.

აღნიშნული, გარდამავალი ხანისათვის მნიშვნელოვანია ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები, რომლებიც ზემო ქართლის, კერძოდ კი ლიახვის ხეობის, მთელი რიგი სიტყვიერი მასალისთვის არის დამახასიათებელი.

ამ მხრივ უნდა აღნიშნოს ქართლის მეფების როსტომის, მისი მეუღლის მარიამ დედოფლის, თემურაზ მეორის, ვახტანგ მეექვსის დამსახურება, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული მთელი რიგი ისტორიული, პოლიტიკური საკითხები, რომლებიც საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისითაც.

ზემოხსნებულმა პირებმა მეჩვიდმეტე-მეთერამეტე საუკუნეებში დიდი შემოძიების გასწიეს ძნელ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც მთელი საქართველოს ტერიტორია საბრძოლო პოლიგონად იყო გადაცეული.

უნდა ითქვას მეფე ვახტანგ მეექვსის დამსახურებაზეც. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, მეთერამეტე საუკუნის დასაწყისში და შემდგომ, ის იცლის “უყუპისტყაოსნის” გამოყენებისას. მან ეს ტრადიციული საქართველოს გადაცე

1712 წელს. პოემას ვახტანგ VI-ზ დაურთო კომენტარები; როგორც იგი წერს: “თარგმანი პირველი წიგნისა ამის “ვეფხისტყაოსნისა” თქმული ბატონისშვილის გამგებლის პატრონის ვახტანგისა”. ვახტანგს მოცემული აქვს ასენა მრავალი სიტყვისა ლექსიკოლოგიური ოვალსაზრისით, სადაც კარგად ჩანს მისი მიღობა ზოგადად ენისაღმი.

ამ დროისათვის ზემო ქართლი მთელ რიგ წარწერებაში, რომლებიც მეჩვიდმეტე-მეოთხამეტე საუკუნეებს მოიცავს, ხმარებიდან გასული ასოები სპორადულად ჩანს. ყოველივე ამისი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ისინი ხალხურ მეტყველებაში ჯერ კიდევ გამოიყენებოდა.

ନେବେଳୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା?

ცნობილია, რომ ძველ ქართულს მოეპოვება ჩამდენიმე ბგერა, ახალი ქართულისაგან განსხვავებით. ძველები დიდხანს შემორჩა, მიუხედავად იმისა, რომ აღარ შეესაბამებოდნენ ახალი ქართულის ფონეტიკურ სისტემას. შესაძლებელია, ამას ხელი შეუწყო ძველი გრამატიკოსების მოღვაწეობამ და სკოლამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდად ცნობილი პიროვნება, მეცნიერი, კათალიკოსი ანტონი.

სწორედ ძველის ანტონისეულ კონცეფციის გამოყენადა ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც თავის ცნობილ წერილში სრულიად მარტივად დამტკიცა, რომ ამ ასოების შესაბამისი ბგერები ახალი ქართულისათვის აღარ იყო საჭირო და მას აღარც ახასიათებდა. ილიამ და თერგდალეულების სამწერლო პრაქტიკაში გაამარტივა ორთოგრაფია და გაათავისუფლა ზედმეტი ასოებისაგან.

ქალაქ ცენტრალის აღმოსავლეთით ე.წ. ზღუდრის გვერდზე (გორაზე) აღმართულია წმინდა გიორგის სახელზე აგებული მოზრდილი ეკლესია. ეკლესიის სამხრეთით კედელში, ტუფის თლილ ქვაზე ამოტვიფრულია ნუსხური გრაფიკით წარწერა, შიგ ჩართული ასომთავრული ასოებით, სადაც ვკითხულობთ: “შოი(ჸ) მოწამეთა შორის მთავარმოწამეო, წმინდაო გიორგი ზღუდრისაო, მფარველი გვექმენ ორთავ შინა ცხოვრებათა, მაღიდებელსა დედოფალთა დედოფალსა კელმწიფის დადიანის ასულსა მარიამს და ნაცვალ გვაგე მაღლი დაფარება შენმიერი დოქსა მას დიდსა განკითხვისასა შინა ამინ!”

წარწერა უთარილოა, მაგრამ გასავები ხდება, რომ მარიამი იყო სადადინოს მფლობელის ლევან მეორის და, რომელიც მისთხოვდა ქართლის მეფეს როსტომის 1634 წელს. მარიამ დედოფალმა ლიახვის ხეობებში არაერთი ეკლესია განაახლა და მათ შორის ზღუდრის წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესია, რაც წარწერისგან ჩანს. ეს მომხდარა მეჩვიდმეტე საუკუნის შუა სანებში.

წარწერებში არსებული ჭ-არის (ჭელმწიფის) მიხედვით იმისი დასკვნის გაყეოება შეიძლება, რომ აღნიშნული ბერის არსებობას, როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, რეალური საფუძველი ჰქონდა. წარწერაში, როგორც ჭ-ხარი ისე ხ-ბერა პარალელურად არის წარმოდგენილი და შენაცვლება უკვე ფაქტია. შენაცვლება აისახება სხვა დოკუმენტებშიც და, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, ასეთი ოპოზიცია ქართლურ მეტყველებას ემყარება.

ზღუდრის ეკლესიის წარწერის დასაწყისში მო-ო ანუ ოჲ, ძველი ბგერა-ასოა, რომელსაც შემდგომ ეწოდა ჰოე. აღნიშნული ბგერა ქართულ ანგანს ამთავრებს და იგი ბერძნული ომეგის შესატყვისა. რიცხომრივი მნიშვნელობით ეს ბგერა ათასს ახლ ბერძნის, ბერძნულს აღნიშნავდა.

წარწერაში დ (იოტა) ზემოხსენებულ სიტყვაში არის წარმოდგენილი. მას დიფორმანგური გამოთქმა ჰქონდა, ასევე, გვხვდება სხვა ორთოგრაფიულ მოვლენებში, კერძოდ დამავალ და აღმავალ დიფორმანგებში.

ხეობის ეპიგრაფიკულ და სხვა წარწერებში, დოკუმენტებში მორფოლოგიური ფორმები ახალი ქართულისებურია, მაგრამ ყოველთვის ის არ არის დაცული. ერთმანეთის გვერდით თაგსლება ძველი და ახალი ნორმები, შეთანხმებული და შეუთანხმებელი კონსტრუქციები. ძველი ნორმების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი სტიკიურად მიმდინარეობს. მაგალითად, ცხინვალის ძველ უბანში, ლიახვის მარჯვენა ნაპირზე დგას ლვთისმშობლის სახელზე აგებული გუმბათოვანი ეკლესია. ძეგლზე მხედრული გრაფიკით შესრულებული წარწერა მოთავსებულია ეკლესის სამხრეთის შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. საყმაოდ ვრცელი ტექსტი მთავრდება ასეთი დაბოლოებით: “აგებულია მეფობასა ვახტანგისასა, ქესა უვ, ქორონიკონი უვ” — 406(+1312)=1718 წელს.

წარწერაში გვხვდება მოთხოვითი ბრუნვის -მან დაბოლოებიანი ფორმები, რომელთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ რაიმე სტილურ ნიშანს არ ემსახურება.

“აღვაშენეთ გიორგის შვილმან ქაიხოსრომან და ჩემმან ძმამან ფარსადანმან და ჩემმან შვილმან გივმან ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად”...

შეიძლება ითქვას, რომ არქაულ გრამატიკულ მოვლენათაგან “შან” დაბოლოებანი ფართოდ არის წარმოდგენილი, ასეთივე მდგომარეობაა სხვა ძველი საფლავების წარწერებშიც. ეკლესიის წარწერაში და კავშირი გამოყენებულია განმეორებებით, მრავალჯერადი კავშირის ფუნქციით. ასევე პარალელურად იხმარება -მან და -მა დაბოლოებები.

ვახტანგ მეექვსეს, იმავე სჭულმდებელს, ლიახვის ხეობაში, თირის მონასტერში უცხოვრის, მეცამეტე საუკუნის ბაზილიკური ტიპის ტაძარში. შუა აღვილას დაცულია საფლავის ქვა მხედრული წარწერით. ყოველი სიტყვის ბოლოს, ძველი ქართულის მსგავსად, მოთავსებულია ორი წერტილი, რაც პალეოგრაფიულად განკვეთილობის ნიშნებია. წარწერაში ვკითხულობთ:

“ყოვლად ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართლის მეფის გიორგის ძმის, ყოვლად შემცულის ბატონის ლევანის ძე საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ ვიყავ მამულსა ჩემსა სოფელსა ამას, რაოდენთამე წელთა და მიიცვალა ძე ჩემი, პირმშო ბატონისშვილი როსტომ და დავფალ ეკლესიასა ამას შინა სამკვიდროსა მამულსა ჩემსა. ქრისტეს ექეთ - ჩეპთ” = 1689 წ.

აღნიშნულ წარწერაში გვხვდება ნაცვალსახელი ჟოველი ორჯერ შეკუმშული სახით - ყოვლად ქებულის და ყოვლად შემცულის, რომელიც ტექსტში ბრუნებრივად არის წარმოდგენილი და მსაზღვრელის როლში დგას. შეიძლება ითქვას, რომ ნაცვალსახელის ბრუნება ახალი ქართულისებურად ვითარებითში არის წარმოდგენილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ წარწერაში ფუძის სახით წარმოდგენილი სახელები სახელობით ბრუნებაშია: **ვახტანგ** ვიყავ, მიიცვალა როსტომ. წარწერაში ორგზის გვხვდება ჩენებითი ნაცვალსახელები “ამას”, რომელიც კანონიერი ვარიანტია “ეს” ნაცვალსახელისა და ახალი ქართულისებურად არის წარმოდგენილი.

წარწერაში ლექსიკური ერთეულებიდან აღსანიშნავია **გვევიდრო-სამკვიდრო**, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს მცხოვრებს. ხოლო “**სამკვიდრო**” მემკვიდრეობით მიღებულ მამა-ბაბის ეფულ ქორების, (ჭევლ, 1958, ვვ 534).

სიტყვა მკვიდრი და მისგან ნაწარმოები სიტყვები სამკვიდრო, სამკვიდრებელი და სხვები ქართული ლექსიკური ერთეულებით და მთელ რიგ ძეგლებში დასტურდება.

სპარსეთში ჩასული ვახტანგ მეექსე, რომელმაც უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე, ტყვედ გამოაცხადა ხელისუფლებამ და ქირმანში გადასახლა. ის ასე აღვიწერს თავის კოფას: “ჩემი ჭირი ქვას ქონებოდა, დაღნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს ავსებდა”. ის ასე მოთქვამს: “შე თაო პირველ შვეულო აწ უცხო ჭირსა ვარდია, საკვრელსა ძნელად სახნელსა, მთხრებსა მოლრმოსა ვარდია, მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია და ლაწვი შემქმნია ზაფრანად, ვის ვერა მზრდიდა ვარდია” (ვახტანგ VI, 1947, გვ. 20).

**გამული**, სულხან-საბას მიხედვით განიმარტება, როგორც მამისეული (ს. ს. ორბელიანი, 1991, გვ. 432).

**პირზო** - განიმარტება, როგორც პირველშობილი, გინა უხუცესი (ს. ს. ორბელიანი, 1991, გვ. 626).

წარწერა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია სახელოვანი მეფის ბიოგრაფიის უკეთ გამოვლენისა და პოლიტიკური მოღვაწეობის შესწავლისათვის.

### დამოწმებული ლიტერატურა

ქეგლ, V, 1958 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.  
ს. ს. ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

ვახტანგ VI, 1947 — ვახტანგ VI, ალ. ბარამიძის ჩედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1947.

## NIKOLOZ OTINASHVILI

### ON ORTHOGRAPHIC AND MORPHOLOGICAL PECULIARITIES OF WRITING OF THE LIAKHVI VALLEY

The Georgian language is distinguished by its stability but its variety can be found in each epoch. The variety of form we can see mostly in the literature of the 16-18<sup>th</sup> centuries, in manuscripts and historical documents. By this time the new Georgian literary language is already distinguished and formed its appearance. Sulkhab-Saba Orbrilini, David Guramishvili, Vakhtabg VI and others in their works developed the new literary language which is clearly seen in their writings, and this was very important for the history of the literary language.

For the above mentioned period, the data of monuments existed in Liakhvi Valley was very important, because in terms of language peculiarities it contained great information.

It should be taken into consideration that the names of the Georgian kings Rostom, queen Mariam, Teimuraz II, Vakhtang VI connected with their epigraphic inscription are also very important.

To the east of the town of Tskhinvali, on the left side of the river Liakhvi, there is the church of Saint George, where there is an inscription that tells us that monument was restored by the queen Mariam in the middle of the 17<sup>th</sup> century.

The letters existed in that inscription such as f, or opi (Ä), or iota (Á) shows that by that time the old writing was still used. But next to the old writing the new ones began to appear, with its new phonetic and morphological forms in the old district of Tskhinvali, on the right side of the river Liakhvi, there is a church of Saint Mariam where we can see the old inscription dated to 1718 written in old Georgian language.

In the Liakhvi Valley we can find a monastery built in the 13<sup>th</sup> century. There we can find a grave with the inscription of the old Georgian dated to 1689. The inscription informs us that there was buried the son of the King Rostom. In the inscription we run up the forms of old and new Georgian language. The same can be said about the lexical forms.

The information about the inscriptions written on the monuments of the Liakhvi Valley and their research is a matter of great importance for the further scientific studies.